



იმისთანა წმინდა საძმომი,
ბოგობიგ ბეჭდუთი სიფაჟას,
ფაქილებით და ჭებობით ბუბთის
გაფანა ყველა უკადრისმომავლ
უსამაგლესია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა
საქართველოს
რესპუბლიკა
2007 წლის
სექტემბერი
12



დაარსებულია
1918 წელს.



ოთხშაბათი, 12 სექტემბერი, 2007 წელი.

№ 176 (5777)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

გზა ქეშმარიტებისკენ



ერის თავზე
მრავალი
უბედურება
დატრიალებულა,
მაგრამ
იღიას
მკვლელობას
მანც სხვა
ტკივილი და
სხვა ცოდვა
ახლავს

4-5

იქნებ 12 სექტემბერი -
ერის სულიერი გაშის
გვლელობის დღე
ქართველი
ხალხის ეროვნული
მონანიების,
განდენდის,
ფიქრის, განსჯის,
სინანულის დღედ
გამოვაცხადოთ?

საქართველოს
რესპუბლიკის
გარეჯის
მუშაობის
დღე




გჯერათ, რომ
11 სექტემბერს
კოზკები თვით
ამერიკელებს
აუფეთქებიათ?!

ამჯერად გენ ლადენი პირველად მოგ-
ვევლინა როგორც ანალიტიკოსი. მან
გაავლო ისტორიული პარალელები, რო-
გორც ვიეტნამთან, ისე ბრაუნევისეულ
ეპოქასთან. სამაგიეროდ,
მუშარა აღარ ისმოდა

17-18





© წყლის ნაყვამ

ზნეობისა და მორალის ნავს მიღმა შთენილნი

შეიმოღვრება. თანდათან ეძარცვება ხეებს მწვანე სამოსი. ასევე თანდათან ეძარცვება უმრავლესობას წვერები. მაგრამ წლის დრო აქ არაფერ შუაშია. დროსა და ვითარებას აუღეს ალლო. საიდანაც შეუბერა მაძღრობისა და გამორჩენის, არხეინი სადგურებზე ცხოვრების სიომ, იქით ნაფრი-ალდენ ფოთლებივით, როგორც მანამდე მწა-ტე-მწატე მიფრიალებდნენ იქ, საცა ამ უამამდე ისხდნენ ქერის ორმოებში.

ეგებ, ვინმე იტყვიოს, სად ოპოზიციონერობა და სად მაძღრობა-არხეინობა, მაგრამ, ვნახოთ.

ვის არგია ასეთი „ჭრელი პეპლები?“ ალბათ, სწორედ იმ დროსა და ვითარებას. შე-იქმნა კონკრეტული ვითარება და ის, ვინც ცდილობს მას ქერზე მოექცეს, უხმობს და იყენებს მათ. კარგად უწყის, როგორ, რითაც დაიყოლი-ოს. ჯიბეების ამოფხევა ნამდვილად არ დასჭირდება.

მაგრამ რაში სჭირდება ასეთები „იმას“ და, თუ სწორედ ასეთები სჭირდება, ან მხოლოდ ასეთები მიდიან მასთან, გვჭირდება კი ჩვენ, ხალხს, ქვეყანას ასეთი ღი-დერი და მისი ასეთი ქვეშევ-

რდომნი? სწორედ ქვეშევრ-დომნი, რადგან ისინი მხოლოდ და მხოლოდ მისი ნების შემს-რულებლები იქნებიან, ისევე, როგორც მანამდე ასრულებდ-ნენ იმ „სუბერენის“ ყოველ ხუშ-ტურს, ახლა რომ განუდგნენ. პოლიტიკა ბინძური რამააო. ჩვენ ვაბინძურებთ და იმიტომაც ბინძური, თორემ, თავისთავად,

თლადეს, ვინც უკვე ოქრუაშვი-ლის ბანაკში მოიაზრებიან, გუ-რამ ვახტანგაშვილი და კიდევ ორი დეპუტატი — ქეთევან მა-ხარაშვილი და თეო ტლაშაძეც შეემატნენ. ამ ქალბატონებს იმიტომ წავუძღვარე ტიტული, რომ ახლად გავიგე მათი დე-პუტატობის ამბავი. მაშ, რაში სჭირდება ოქრუაშვილის ისინი?

ნენ, არათუ — გადანყვებილე-ბას. აღშფოთება კი, სავარაუ-დოდ, ერთგულქვეშევრდომუ-ლად მოჩვენებითი იყო, რადგან სააკაშვილს თუ ერთი ფეხი გა-დაუბრუნდა, პირველი სწო-რედ ეგენი „მიაყრიან ქოქო-ლას“. ამიტომ, იქნებ, აღშფოთე-ბაში გვარიანი წილი საკუთარ თავზე გაბრაზებისაც იყო, დაგ-ვასწრეს, ეგებ სჯობდა, ჩვენც ასე გვექნათ. კი უნდა იქნარონ, რადგან „ოქრუაშ-ვილის საპარლამენტო ფრაქციაში“ ოთხად-ოთხი ადგილია დარჩა და არ კი უწყინან, თავდაცვის ყოფი-ლი მინისტრი ამ მინიმუმს დას-ჯერდება, თუ მაქსიმუმის მი-ღწევას შეეცდება. ხომ თადარი-გიანობა სჯობს?

თუმცა, უმრავლესობის გაოგ-ნებაც, ვგონებ, უადგილოა. მა-ხარაშვილიცა და ტლაშაძეც უმრავლესობაში გამომუშავე-ბული რეფლექსებით მოქმე-დებდნენ. ოღონდ, ეგ იყო, დი-რიჟორი, მოკარნახე შეიცვა-ლეს, თორემ მთავრობის წინა შემადგენლობა, პრემიერი-თურთ, ვითომ რით განსხვავდე-ბა ამჟამინდელისგან? თუ, ვთქვათ, გილაური — ენერგეტი-კის მინისტრი მოსწონდათ, გი-ლაური — ფინანსთა მინისტრი კი — არა, ეგრე ეთქვათ, რა იყო, რომ მთელი კაბინეტი უარყვეს? მაჟორიტარმა დეპუტატმა

დიდი და პატარა ლიხვის ხეო-ბებიდან ბატონმა გურამ ვახ-ტანგაშვილმა კი დაიქადა, ყვე-ლა იმასთან მიგულეთ, ვინც სა-ქართველოს ერთიანობას ალაღდენს, ასეთი ერთი ოქრუ-აშვილი, მაგრამ თავად თუ სჯერა ამისა?

არც მასა და არც სხვა „გა-ოქრუაშვილებულთ“ არ აინ-ტერესებთ, საიდან აქვს მას დიდი, ძალზე დიდი ფული. თუმცა, ეს მორალისა და ზნე-ობის კატეგორიებია და ჩვენ ბინძურ პოლიტიკას მასთან რა ხელი აქვს?

გარიცხვენ თუ არა მახარაშ-ვილსა და ტლაშაძეს, შექმნის თუ არა ოქრუაშვილი საპარლამენტო ფრაქციას, დაიშლება თუ არა უმრავლესობა, რამდენს გაიჭაჭება ოპოზიცია, სულ ყვე-ლაფერი სამაგათოა. ქვეყნისთ-ვის კი ეს წყლის ნაყვამი. გახ-სოვთ, ხატი — მაცხოვარი 12 მო-ციქულთან ერთად ნავში? სიმ-ბოლურად ეს ნიშნავს, რომ ვინც იმ ნავის მიღმა დარჩა, ანუ ქრისტესთან არ არის, სამუდამოდ დაღუპულია!

ასევე, მორალისა და ზნეობის გარეშე ყოველი საქმე ქვეყნის-თვის დაღუპულია. ხოლო ისინი, ვინც ამას სჩადის, სწორედ იმ ქრისტესმიერი ნავის მიღმა არიან შთენილნი.

კონსტანტინე გურგენიძე

© ახალი პროგრამა

საბინაო ვაუჩერი დევნილთა საცხოვრებელ პირობებს აუმჯობესებს

175 ოჯახი კოლექტიური სახლიდან საკუთარ ბინაში გადავიდა

საპარატისტულ აფხაზეთ-სა და ე. წ. სამხრეთ ოსეთ-ში კონფლიქტების გამო, იძულებით გადაადგილე-ბულ ოჯახთა 45 პროცენტი საზოგადოებრივი დანიშნუ-ლებისა და სახელმწიფოს კუთვნილ შენობებში, ანუ კომპაქტურად დასახლე-ბულ ცენტრებში ცხოვრობს. ეს შენობები არც ინვესტი-რებს და არც მთავრობას არ აინტერესებდა, გამიზნული არ იყო დევნილთა მუდმივ საცხოვრებლად, რის გამოც, ბევრი შენობა საავალალო მდგომარეობაშია.

2007 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ დევ-ნილთა ახალ ეროვნულ სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ მისი უმთავრესი მიზა-ნია, ხელი შეუწყოს დევნილ-თა ნორმალური საცხოვრე-ბელი პირობებით უზრუნ-ველყოფას და მათ საზოგა-დოებრივ ცხოვრებაში მონა-წილეობას.

2005 წლიდან ამერიკის შე-ერთებული შტატების სა-ხელმწიფო დეპარტამენტის

მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიურო და ურ-ბანული ინსტიტუტი საქართვე-ლოში ახორციელებს პროგრამას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დევნილებს საბაზრო ინსტრუმენტების გამოყენებით შეისყიდონ საცხოვრებელი ბი-ნები და გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები. ანუ საბინაო ვაუჩერი იმ სუბსიდიის გარანტიაა, რომლის საშუალე-ბითაც დევნილთა ოჯახებს სა-შუალება ეძლევა შეიძინონ სრულყოფილი საცხოვრებელი ფართი!

დევნილთა საბინაო ვაუჩერის

პროგრამა საქართველოში ორ ფაზად განხორციელდა. პროგ-რამის შედეგები სასტუმრო „ვა-რაზში“ ჟურნალისტებს გააცნო მისმა ხელმძღვანელმა ენდრიუ გოლდონმა.

პროგრამის პირველი წელი 2005 წლის აგვისტოდან 2006 წლის ივლისამდე გაგრძელდა და ქუთაისში, ავტოქარხნის რაიონ-ში განხორციელდა. საპილოტე პროგრამის პირველ წელს 129 სა-ბინაო ვაუჩერი გაიცა და დევ-ნილთა 34 ოჯახი კომპაქტურად დასახლებული ცენტრებიდან ჩვეულებრივ ბინებში გადავიდა საცხოვრებლად.

მეორე ფაზა 2006 წლის სექ-ტემბრიდან 2007 წლის სექტემბ-რამდე გაგრძელ-და ქუთაისის ავ-ტოქარხნისა და ავანგარდის რაი-ონებში მდებარე თორმეტ კოლექ-ტიურ ცენტრში. გაიცა 134 ვაუჩე-რი. 81 ოჯახს ეძლეოდა ნორმა-ლური საცხოვრე-ბელი პირობები.



სულ 175 ოჯახი გადავიდა კო-ლექტიური ცენტრიდან საკუთარ საცხოვრებელ ბინაში. 9 კოლექ-ტიური ცენტრი დაკარილდა და სახელმწიფოს დაუბრუნდა შემ-დგომი გამოყენებისთვის.

საქართველოს მთავრობა გეგმავს საბინაო ვაუჩერის, რო-გორც ერთ-ერთი უმთავრესი მიდგომის გამოყენებას დევ-ნილთა სახელმწიფო სტრატე-გიის ფარგლებში.

აი, ის მიზეზები, რამაც განა-პირობა საბინაო ვაუჩერის პროგრამის წარმატება: საბი-ნაო ვაუჩერის გამოყენება სა-შუალებას აძლევს დევნილთა ოჯახებს შეინარჩუნონ ის მჭიდ-რო კავშირები, რომლებიც არ-სებობდა მასპინძელ საზოგა-დოებასა და კოლექტიური ცენ-ტრის მცხოვრებლებთან; საშუ-ალებას აძლევს დევნილთა ოჯახებს იგრძნონ საკუთრების უსაფრთხოება და ახალი სახლი განიხილონ, როგორც თანხის გრძელვადიანი დაბანდება; იმ დევნილთა ეკონომიკური მდგომარეობა, რომელთაც ვერ შეისყიდეს ბინა ვაუჩერით, არ გაუარესებულა.

ასე რომ, საპილოტე პროგრამის შედეგად, დევნილებსაც გა-უმჯობესდებათ საცხოვრებე-ლი პირობები და გამონათვი-სუფლებულ კოლექტიურ ცენ-ტრებსაც — სკოლებს თუ საა-ვადმყოფოებს დაუბრუნდებათ პირველადი ფუნქცია. კომერ-ციული ღირებულების კოლექ-ტიური ცენტრები კი გათავი-სუფლდება კერძო ინვესტიცი-ებისთვის.

თაგარ შაიშვალიშვილი

© ცხელ გულზე

მხოლოდ სარკასტული ღიმილის იმედით?!

ინფორმაციული ომი აღარ უნდა ვისწავლოთ?



პარლამენტის საგარეო საქმე-თა კომიტეტის თავმჯდომარე, ყოველდღიური პოლიტიკელი

ვარსკვლავი რომ გაგვიხდა, აგერ სერგეი შამბას განცხადე-ბასაც გამოეხმაურა, სეპარა-ტისტული სოხუმიდან მილიარ-დობით დოლარი რომ შეგვა-წერა.

საკვირველია, ღმერთმანი! მოსკოვიდან არის, ცხინვალი-დან თუ სოხუმიდან, რუსულ ენაზე ნახევარი თუ არა, მესა-მედი მსოფლიოს გასაგონად გაგვლანძღვენ, გაგვაკრიტიკე-ბენ, შეგვაჩვენებენ, გვიკბენენ, ჩვენ კი აქ „რუსთავი-2“-ის ტე-ლეკამერის წინ ქართულად ვე-პასუხებით.

კოტე გაბაშვილის სარკასტუ-ლი ღიმილი და ქართულად ნა-ანგლევო გამოდგება მტრების მასშტაბური, „დიაპაზონური“ რუსული ბრალდების საპირწო-ნედ?

ინფორმაციული ომი აღარ უნდა ვისწავლოთ?...

ლუკა გორგაძე



ეროვნული გიგანტი

● განსჯა

სახელმწიფო იდეალში არსებობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ერთობლივი ნების გამოხატავად და მათი სიცოცხლის, უსაფრთხოების, ღირსებისა და მათი სიცოცხლის, უსაფრთხოების მიმართულებით, დამოკიდებულების მიხედვით სახელმწიფოთა ტიპების ზოგადპოლიტიკური პოლუსებია: სახელმწიფო არსებობს ხალხისათვის (+) და ხალხი არსებობს სახელმწიფოსათვის (-);

საბჭოთა კავშირი, ფორმალურად, ხალხისათვის არსებული სახელმწიფო იყო, რეალურად კი ხალხი იყო

საბჭოთა სახელმწიფოსათვის „შექმნილი“ და „წარმოებული“. — თვით პარტიის გენერალურ მდივანს, რომელიც ფაქტობრივად უზარმაზარ იმპერიას გააგებდა, პირად საკუთრებაში ბევრი იმპერია და — ის სახლი, ბინა, ავარაკი, სადაც ის და მისი ოჯახი ცხოვრობდა, ისვენებდა, სახელმწიფოს საკუთრება იყო. ამ სახელმწიფოს ისტორია სავსე იყო მაგალითებით, თუ როგორ ეწირება „სახელმწიფოებრივ ინტერესებს“ ცალკეული პიროვნებების თავისუფლება და სიცოცხლე.

აქ ასეთი, „სახელმწიფო ინტერესების“, „სახალხო ინტერესების“ პრეცედენტების კლასიკური სახელმწიფო შიშის კი ოჯახების მემოსავლები და მათი ფაქტობრივი მოხმარება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარს მაინც შეადგენდა. გორბაჩოვის „პერესტროიკის“ დროს, ცივი ომის საფრთხის უკუგდებისა და სამხედრო მრეწველობის კონვერსიის შედეგად შინამეურნეობათა ფაქტობრივი ხარჯების წილი საბჭოთა კავშირში შედგა პროდუქტში გაიზარდა და 1985 წლის 48.1-დან 1990 წლის 50.2 პროცენტამდე, ხოლო მოსახლეობის მომსახურე სახელმწიფო დანახვების გათვალისწინებით, შესაბამისად, 54.8 პროცენტამდე 56.9 პროცენტამდე.

საქართველოში, ოფიციალურად დემოკრატიული მმართველობა და ყველაფერი ხალხის ინტერესებისათვის კეთდება. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოა ხალხისათვის და არა ხალხი — სახელმწიფოსათვის. მაგრამ ციფრები ხშირად სხვაგვარ ასოციაციებს აღძრავენ. მაგალითად, „ვარდუ-

ბის რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში შინამეურნეობათა ხარჯების წილი ქვეყანაში შექმნილ მთლიან შიდა პროდუქტში შემცირდა 60-დან 43 პროცენტამდე. მშპ-ში საბჭოთა დროინდელი წილით საქართველოს თითოეული შინამეურნეობის ყოველთვიური მოხმარება ფაქტობრივად შედგა-

შინ რას ემსახურება გაზრდილი ბიუჯეტი და მთლიანად, გაზრდილი ქვეყნის მთლიანი პროდუქტი?!

მზარდი ეროვნული დოვლათის ნაწილი, ბუნებრივია, მიემართება საგარეო ვალისა და ვალდებულებების დასაფარავად, ნაწილი კი — საზოგადოებრივად ასევე საჭირო ინფ-

რაციულია, თავისუფალია საზოგადოება, მით უფრო კარგად და სწრაფად ვითარდება ეკონომიკა. თვით ამერიკელები ხუმრობენ, რომ „ამერიკის ეკონომიკა ვითარდება ღამით, როცა მთავრობას სძინავს“. და ამ კონტექსტში გამოწვევის ფაქტობრივად არ არსებობს. მაგალითად, თავისუფალ საზოგადოებაში ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა საგრძნობად უსწრებდა ეკონომიკურად სოციალისტურ დოქტრინაზე „მორგებულ“ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას; რუსეთში იმპერიიდან თავის დაღწევის შემდეგ ფინეთმა მნიშვნელოვნად გაუსწრო ეკონომიკურ განვითარების მხრივ არა მარტო ყოფილ მეტროპოლიას, არამედ 1940 წელს საბჭოთა კავ-

● ინფორმაცია

გაბიას პოეზია მზად არის...

ევროსაბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელი გაბიას ეროვნული მზად არის, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დიმიტრი სანაკოვს შეხვდა. ამის შესახებ თბილისში მყოფმა ეროვნულმა გუშინ, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან დაგვიტელრაძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, ევროსაბჭოს როლი კონფლიქტების მოგვარებაში უნდა გაიზარდოს.

მოსკოვის მილიცია საპარტოპოლოს ორი მოქალაქე დააკაზმა

მოსკოვის მილიციამ საბუთების გაყალბების ბრალდებით საქართველოს ორი მოქალაქე დააკაზმა.

როგორც რუსული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, მოსკოვის ფედერალური მიგრაციული სამსახურის თანამშრომლები წააწყდნენ ყალბი დოკუმენტების ახალ სახეობას, რომელიც მათ დედაქალაქის ერთ-ერთ ავტოსერვისზე მომუშავე საქართველოს მოქალაქეებმა წარუდგინეს.

— ასეთი დოკუმენტი ბუნებაში არ არსებობს. ეს თაღლითობის აშკარად ახალი სახეობაა, რომელსაც დედაქალაქის მიგრაციული სამსახური წააწყდა, — განაცხადა საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენელმა.

მანვე აღნიშნა, რომ მიგრაციული სამსახურის თანამშრომლები დოკუმენტების შეძენის ადგილის დადგენას ცდილობენ.

ინტერპრესნიუსი

რისთვის არსებობს სახელმწიფო?!

ანუ რატომ ვითარდება აფრიკის ეკონომიკა ღამით და „დღევანდელი კვარცხის“ პრინციპს გამოდევნაზული სხალისთვის რად არ ვბოვებთ „ქათმის ბუნდასას“ კი!

რებით დაახლოებით 70 ლარით მეტი იქნებოდა...

არადა, ნომინალურად, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 2006 წელს 2003 წელთან შედარებით, 1.6-ჯერ გაიზარდა, ბიუჯეტში მოზილზებული თანხები კი თითქმის გაოთხმაგდა.

ერთი ცნობილი ტელეჟურნიკის საბრუნოდ ბას რომ დავეს სხოთ, „რა ხდება?“

თუკი მოსახლეობის წილი მცირდება მთლიან პროდუქტში, საბიუჯეტო შემოსავალ-ხარჯები კი იზრდება, მა-


რასტრუქტურის განვითარებასათვის. თუმცა, ამავე დროს, ბიუჯეტში სულ უფრო იზრდება ბევრი დეპუტატისთვისაც კი „გაუმჭვირვალე“ მუხლების წონა. ყოველივე ეს ზრდის ქვეყანაში ეკონომიკურად და სახელმწიფოებრივად არამოტივირებულ, შესაბამისად — არაეკონომიურ, არაეფექტურ ხარჯებს.

სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის ზედმეტი მეთვრეობა, ისევე, როგორც მისი პოლიტიკური მიზნებისადმი დაქვემდებარება, არა მხოლოდ ეკონომიკის განვითარებას ზღუდავს — მისი ფაქტობრივი შედეგი უფრო სიღრმისეულია და ესება საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანეს ვექტორებს — პიროვნულ და ეკონომიკურ თავისუფლებას, სამართლიანობას, კანონის უზენაესობას. მსოფლიო ისტორია ადასტურებს, რომ რაც უფრო დემოკ-

შირის შემადგენლობაში „აღმოჩენილი“ ბალტიის რესპუბლიკებსაც, რომლებიც მას მანამდე მნიშვნელოვნად უსწრებდნენ.

ამ ასპექტით, სერიოზულად დასაფიქრებელია, თუ რატომ ჩამორჩება ეკონომიკური რეფორმებით „მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე მყოფი“, „რევოლუციამოვლილი“ საქართველო ეკონომიკური ზრდის ტემპით „რევოლუციამოვლილ“ მეზობელს — სომხეთსა და აზერბაიჯანს. მართალია, აზერბაიჯანის ეკონომიკის ზრდაზე ნავთობის ფაქტორი მუშაობს, მაგრამ მისი გამორიცხვითაც ამ ქვეყანას საქართველოსთან შედარებით 1.5-ჯერ მაღალი, ხოლო სომხეთს — 1.3-1.4-ჯერ მაღალი ტემპი აქვს.

იოსებ არჩვაძე (გაბრელები იქნება).



● ფიქრები „პოსტ ფაქტუმ“

სამთავროს სავარძლებიდან მორიგი ძვრები მოხდა, თუმცა მოხდა კი არა, პირველმა პირმა მოახდინა. გვპირდებიან, კიდევ მოხდება, ჯერ სადა ხართ...

ვლადიმერ ლენინი, ისეთი სახელმწიფოს აშენებაზე ოცნებობდა, რომლის გაძლიერებასაც მზარეული ქალაქი (ანუ „კუხარკა“) შექმნიდა. მეორე ვლადიმერი, მართლა უნიჭიერესი პოეტური მაიაკოვსკი, ერთხანს რევოლუციური პათოსით აღტკინებული, აცხადებდა: „და დღეს ნოქარი ხვალ სამეფოს მოვსლი რუკიდან“.

ისე ჰგავს, ჩვენ სწორედ ორი ვლადიმერის ნაწარმ სახელმწიფოს ვაშენებთ, სადაც ლამის ვინც გინდა რასაც გინდა უხელმძღვანელებს, ოღონდ ერთი მტკიცე პირობით: ის „ვინ“ პრე-

სახელმწიფო „მომხმარებელი“

კაცი „შინ“ არ ვარგოდეს და „გარეთ“ გამოგვადგება?

ზიდენტის კაცი, პრეზიდენტის კადრი, პრეზიდენტისგან მოწყალე თვალით დანახული და ხელდასხმული უნდა იყოს. მე შენ გეტყვი და, რომელიმე მონიშნული დანიშნავაზე შეფიქრანდება, შეთავაზებისაგან თავს შეიკავებს — ეს მგონი ჩემი საქმე არ უნდა იყოს (აკაკი ხომ არ მოგადგენდა: „რომ მიდიხარ, სად მიდიხარ, მართალია გიჭრის თვალი, მაგრამ ჩვენში, როგორც უცხო, აგერევა გზა და კვალი“...).

გაფიცვით უახლეს წელთაღრიცხვას, არაერთი თანამდებრიცხვას, „გამწესების“ დროს „სად ერეკლე“, არ გიფიქრიათ? განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე პროფესიონალი მივიდა? კაცი თუ ენერგეტიკის მინისტრი იყო და როგორც ამბობენ, მეგავატა ვერ „ახურდავდა“ — ფინანსთა მინისტრად ყოფნისა და მსხვილ კუპიურებს გაართმევს თავს? კაცი რომ ჯანდაცვის მინისტ-

რი იყო (მიახლოებითი სახელდებათ), ელჩად რა თვისებრივი ნახტომით, რა ფოკუსით ივარგებს? დიპლომატიკაა, „ქათმის გრიპის“ საშიშროების დროს გაკეთებული „ქეკუთხედური“ თუ საეჭაპო განცხადებით არ გამოჩნდა — ზუსტად ბედობის დღეს რომ მოგვახარა, ამდენ და ამდენ პროცენტს შეგვერებათ დაავადება და ამდენი და ამდენი პროცენტი მოკვდება? ეგეც არ იყოს, რა ენა-

ზე უნდა „იელქოს“ იმ ჩხეთში ნეტავი?..

ჩემ შორეულ ბავშვობაში დიდი სამამულო ომის წლებიდან მოარული ერთი საკმაოდ სულელური, მაგრამ მაშინაც რატომღაც პოპულარული ლექსი-სიმღერა ამომიტყვიდა: „პიტლერი და შოშია ისხდნენ ფულში, როშია მიუბრუნდა — შოშია, ნაპრა კინკრისხია“. ეგ რა მიყავ შოშია? — იმიტომ, რომ ხოშია!..

მე ვინ მეკითხება, მაგრამ მაინც ვიტყვი, თუნდაც „ტანი გახდეს გასაბერად“. ქვეყანა ჭკუა-გონებით უნდა იმარტეუდეს და არა ხოშიათა თუ პიარით...

თაბაზა ჯანოიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლენიკა

გაზატი „სამართლმცოდნეობის“ 23 აგვისტოს ნომერში პროფ. ვახტანგ გურული სტატიის „ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი (1941-1942 წ.წ.)“ - კვლავ შევხვდებით ქართველის ტრადიციულ აღსასრულს. ამ შემთხვევაში, ცხადია, ავადმჯობესებული გიგანტური ბერბიჭაშვილის შესაბამისი საქმე იგულისხმება.

მოდით, ჯერ ილიას მკვლელობაზე შევჩერდეთ. ავტორი კვლავ იმეორებს თავის „მოსაზრებას“ იმის თაობაზე, რომ საშინელი საქმის აღსრულება უცხოეთში ჩაიდინეს. იმაზე, თუ კონკრეტულად, სად, რომელ ქვეყანაში ან ქალაქში, ამჯერად იგი არაფერს გვუთხვამს. ასევე, თუ ავტორი უნდა ამას საერთოდ რუს სოციალ-დემოკრატებს უკავშირებდეს, „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამა წლის 25 ივლისს დაბეჭდილ სტატიაში დამანაშავეებს აკონკრეტებდა ბოლშევიკებით - სახელდობრ, ვლადიმერ ლენინით, გრიგორი ზინოვიევიტა „და სხვ.“ ამჯერად ვ. გურული კვლავ საერთოდ რუს სოციალ-დემოკრატებზე ლაპარაკობს. მკვლელობა მოუშვადებია რსდმპ ხელმძღვანელთა „ნდობით აღჭურვილ პირს“, რომელიც, საბედნიეროდ, ქართველი არ ყოფილა.

კარგად გვესმის, რომ მსგავს შემთხვევაზე დოკუმენტებს არ ქმნიან და ამავალ მათი მოძებნა. მაგრამ სანამ ისტორიკოსი ამა თუ იმ მოსაზრებას წამოაყენებდეს, მანამდე უნდა გამოამჟღავნოს მთელი რიგი საისტორიო წყაროებისა, დაადგინოს შესაბამისი ფაქტები. თუ არა, იგი, რაგინდ დიდი ინტუიციის ნიჭითაც იყოს დაჯილდოებული, ამაოდ გაირეგება.

პირადად ჩვენ, მსგავსი არასერიოზული საფუძვლით შეგვიძლია სამი ვერსიის წამოყენება: 1) მკვლელობა ჩაიდინეს დაშინებულმა, ვითომდაც ილიას ანტი-სომხური განწყობილების გამო; 2) ეს მოხდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თანამშრომელთა ერთი ნაწილის აქტიურობით (სხვათა შორის, ასე ფიქრობდა კოტე გორდელაძე, როცა 1936 წელს ილიას მკვლელობის საქმეს „იძიებდა“). შეგვიძლია ამის ერთ-ერთ არგუმენტად წამოვაყენოთ ის, რომ ამ დანსებულების ერთ-ერთ თანამშრომელთან მ. ვეზირიშვილთან ილია დუელის გამართვას აპირებდა (საბედნიეროდ, საქმე ჩაიშალა); 3) შემთხვევითი მკვლელობა მოხდა დასახლებული ორი ძალის ერთობლივი მოწადინებით. მაგრამ, ცხადია, მეცნიერებისთვის ამგვარ ჰიპოთეზებს არაფერი ფასი ექნება.

კიდევ უფრო გამაოგნებელია ვ. გურულის „ზარი“ იმაზე, რომ მკვლელობა ჩაიდინა ვილაც ინოგენიტი ქილერმა (მერამდენე ინოგენიტი პირია გარეული ილიას მკვლელობის საქმეში?), რომელიც თითქმის ეროვნებით ქართველი გახლდათ. იგი დიდი რისიკი გვიმტკიცებს: „...იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ იცოდნენ, რომ ილია მოკლა არა ბერბიჭაშვილი, მა, არამედ დამოუკიდებლად მოქმედმა ქილერმა, რომელიც ტერორისტად ჯგუფის ჩასაფრების ადგილზე ტერორისტთაგან ფარულად მიიყვანეს მკვლელობის ორგანიზატორებმა (ე. ი. თითქმის ფილიპე მასარადი და სერგო ორჯონიკიძე - ბ. მ.).“ ავტორი განაგრძობს: „ცნობილი იყო ჩასაფრების ადგილზე ტერორისტებთან ერთად მყოფი „ვილაც იმერელი“ ვინაობაზე (ჩვენ სულაც არ ვამტკიცებთ, რომ ის მაინცდამაინც სერგო ორჯონიკიძე იყო)“, (თუ მას ვერნაშენებთ, ეს „იმერელი“ მკვლელთა ბანდაში „ოხრანკა“-ჟანდარმის მიერ იყო ჩანერგული, მაგრამ საოცარია, რისთვის ინახავდნენ ამ „საიდუმლოს“ ი. სტალინი და ლ. ბერი?)). გარდა იმისა, რომ მსგავსი მოსაზრება თავისთავად აბსურდულია, დაე, ვ. გურული მა დაგვისახელოს შესაბამისი საისტორიო წყარო ან წყაროები, რომლის ან რომელთა საფუძველზეც აკეთებს იგი ასეთ დასკვნას.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთხვეველი გახლავთ ისტორიკოსისათვის, რომელიც საკუთარ თავს დილექტანტად არ სთვლის და პროფესიონალების მარაგში ერევა.

მსგავსი დიდად უსაფუძვლო მოსაზრების გამოჩენება შეკითხვებზე, რომლებზეც პასუხის გაცემა რაციონალური გზით შეუძლებელია. უნინარეს ყოვლისა, ავტორს კვლავ დაუუსვამთ ასეთ კითხვას: **დავუშვათ, გ. ბერბიჭაშვილის სასამართლოს პროცესზე თავი აარიდეს ილიას მკვლელობის ნამდვილ დამკვეთებს - საერთოდ რუს ესდეკებს, კერძოდ ვ. ი. ლენინსა და მისთანებს, მაგრამ რატომ არ ჩამოკიდა ხელი ამ გარემოებას მეფის ხელისუფლებამ, რომელმაც „გამოძიებასა“ და სასამართლო პროცესს (ორგზის) ლამის ორი წელი მოანდომა? რატომ დაინდო მან რუსი ესდეკები? ანდა, ქართველ ორგანიზატორებს - ფ. მასარადისა და ს. ორჯონიკიძეს რატომ გაუფრთხილდნენ, მაშინ როდესაც ამ შემთხვევაში მეფის ხელისუფლებას შეეძლო ქართველ საზოგადოებაში დიდი არევი დარეგა შეეტანა?**

ასეა, ჩანს, რომ სტატიის ავტორს ბერბიჭაშვილის საქმის გამოძიებასა და სასამართლო პროცესზე სერიოზულად არ უშუშავია. ამიტომაც მისეული აზრების დანერგვითი კომენტარება ზედმეტად მიგვაჩნია. ისე, შესაბამისი მასალა

სალიდან ჩანს, რომ საბჭოთა ხელი-სუფალნი დიდად ერიდებოდნენ „ვილაც იმერელის“ გამომჟღავნებას. ვიმეორებთ, იმიტომ კი არა, რომ იგი არამზადების ბანდაში „ოხრანკა“-ჟანდარმერიის ჩანერგული იყო. საერთოდ, ურყევი ფაქტია, რომ ილიაზე თავდასხმისას ბანდაში ოთხი არამზადა იმყოფებოდა (მესუთ, გიორგი (ლომა) ხიზანიშვილი მეთვალყურედ დარჩა, რომ დროზე შეენიშნა გზაზე გამომვლენი). ამ ოთხთა ჯგუფში კი ერთ-ერთი „ვილაც იმერელი“ გახლდათ, ამიტომაც მას უყურადღებოდ ვერ დატოვებდნენ. სასაცილოა, რომ საბჭოურმა გამოძიებამ და სასამართლომ „ვილაც იმერელში“ ამოიკნო ლადო ფეიქრიშვილი, რომელიც წარმოშობით სოფელ ნორიოდან (გარე კახეთში) იყო და რომელსაც ილიას მკვლელობასთან რაიმე პირდაპირი კავშირ-ურთიერთობა არ ჰქონია.

გ. ბერბიჭაშვილმა რომ იცოდა, თუ ვინ იყო „ვილაც იმერელი“, ეს

მაშინ 21 წლის ჩვენი ნათესავი სერგო ორჯონიკიძე, მაგრამ ვინ გაბედავდა მაშინ ამის თქმას? (ვახტანგ გურგენიძე, „ჯვარს ვაცვით ილია“, თბ., 1991 გვ. 96-97).

შალვა ბერიშვილი, ცნობილი ნოე რამიშვილის დის შვილი, სოციალ-დემოკრატული პარტიის (მენშევიკებისა) ერთ-ერთი აქტიური წევრი (მოლვანეობდა სდპ-ის საზღვარგარეთის ბიუროში), იგონებდა: „1938 წლის ზამთარში, როდესაც სერგო ორჯონიკიძის სიკვდილი გამოცხადდა (მთხრობელს შეეშალა: უნდა იყოს 1937 წელი - ბ. მ.), ქართველი და რუსი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ამაზნაგური შეხვედრის დროს (ასეთი შეხვედრები საკმაოდ ხშირად იმართებოდა), რუსმა მეგობრებმა გვკითხეს, თუ რა აზრის ვართ სერგო ორჯონიკიძის პიროვნე-

მკვლელობაში „ოხრანკა“-ჟანდარმერიის როლი აბსოლუტურად გამორიცხულია და ამ თვალსაზრისით საბჭოურ გამოძიებასა და სასამართლო პროცესს ვერაფერი ვერ დაუმტკიცებია. ეს კი სრული ნონსენსი გახლავთ.

ალნიშნულის თაობაზე მეოთხეულს მხოლოდ ერთ ფაქტზე მოვასწენებთ, რომლის შესახებ წყარო დაცულია ალექსანდრე კოჭლავაშვილისეულ (ეს პიროვნება ამხანად კონტრდაზვერვას ხელმძღვანელობდა და პირადად დაჰკითხავდა გ. ბერბიჭაშვილს) ფონდში (ინახება

ისამსილმას მკვლელობის შესახებ

ჩანს შალვა ნუცუბიძისა (1924 წელს ეხება) და ლიტერატორ ალექსანდრე სიგუას (1934 წლის ამბავი) შესაბამისი მოგონებებიდან. ამის შესახებ სხვა არგუმენტებიც გაგვაჩნია. ამათგან მხოლოდ ორზე შევჩერდებით.

1954 წლის მკვლევარმა და საზოგადო მოღვაწემ ვახტანგ გურგენიძემ ნამდვილად ფასდაუდებელი ცნობა ჩაინერა სოფ. ჯურუყვეთში (ლანჩხუთის რაიონი) ზინა (ფუცუხია) ნესტორის ასული მაჭავარიანისგან (იმხანად იგი 70 წლისა ყოფილა): „1905 წლის ზაფხულში, ბორჯომ - ბაკურიანის სადგურ ტბაზე, სადაც ჩემი ძმა მუშაობდა, ჩვენთან მოვიდა სერგო ორჯონიკიძე. იგი ჩვენი ნათესავი იყო და სიხარულით შეხვდით. სახლში შემოსვლისთანავე მან მკაცრად გაგვაფრთხილა: მე სერგო ორჯონიკიძე კი არა ვარ, არამედ „იმერელი ბიჭი“. თუ ვინმემ გკითხოთ ვინ იყო თქვენთან, უპასუხეთ ვილაც „იმერელი“. მე გამომგზავნილი ვარ პარტიის მიერ ხაშურ - ბორჯომ - ბაკურიანის რკინიგზის მუშებთან სააგიტაციო მუშაობისათვის: უნდა დავამხოთ მეფის რუსეთის მთავრობა, მოვსპოთ (!) თავადაზნაურობა და დავამყაროთ მუშებისა და გლეხების თავისუფლება.“

„ლაშქრ ჩვენთან გაათენა. წასვლისას კვლავ გაგვაფრთხილა: მე არ ვიცი, თუ ჩემი სახელი და გვარი გითქვიათ ვისთვისმე, ყველას, თქვენც და თქვენს ახლობლებსაც ამოწყვეტავენ და გადაგინვავენ თქვენს სახლ-კარს!“

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ილია ჭავჭავაძის ზარდამცემი სიკვდილი შევიტყვეთ და ისიც გავიგეთ, რომ ამ ტრაგედიაში „ვინმე იმერელი“ მონაწილეობდა, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ეს იყო,

ბის შესახებ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველნაირად ჩავატყვევებდით (!) და შევაჩვენებდით სერგო ორჯონიკიძე. მაშინ ერთ-ერთმა რუსმა ამხანაგმა გვითხრა: მაშინ ორჯონიკიძის ცოდვებს კიდევ ერთი ცოდვა დაუმატეთ, და გვიამბო, რომ იგი პარიზთან ახლოს 1911 თუ 1912 წელს (1911 წელს - გ. ყ.) ლონჟიუმოში ლენინის მიერ მოწყობილ პარტიულ კურსებზე ორჯონიკიძესთან ერთად ისმენდა მის ლექციებს. ერთ-ერთი ლექციის დამთავრების შემდეგ ლენინი გასულა სამუშაო ოთახიდან, ჩვენთან დარჩა მისი მეუღლე ნადეჟდა კრუჰსკაია (კრუჰსკაია ხშირად ესწრებოდა თურმე ლექციებს). გამართულ საუბარი, რომლის დროსაც ზოგიერთ ამხანაგს მოუგონებია (!) თავისი რევოლუციური დამსახურებანი რუსეთში. სერგო ორჯონიკიძეს უამბნია, რომ იგი რევოლუციის ტერორისტი იყო და ისიც უხსენებია, რომ 1907 წელს პარტიის დავალებით იძულებული იყო, გარეულიყო ერთი ცნობილი მწერლის მიმართ განხორციელებულ ტერორისტულ აქტში. ამასთან, დაუსახელებია, რომ ეს მწერალი იყო რეაქციონერი და სახელმწიფო საბჭოს წევრი. მე მაშინ, სამწუხაროდ, არ დამიდგენია იმ პირის ვინაობა, მაგრამ ცნობილი იყო, რომ იგი ყოფილი ბოლშევიკი გახლდათ, რომელიც შემდეგ მენშევიკებს მიემხრო“ (იხ. გაზეთი „ერთობა“, 1991, № 4).

ფილიპე მასარადის უბინძურესი როლი ილიას წინააღმდეგ მიმართულ იდეურ ბრძოლაში და თვით ორგანიზებაში, მისი და გ. ბერბიჭაშვილის ტანდემობის ამბავი კარგად არის ცნობილი და ამაზე არ ვილაპარაკებთ.

ვ. გურულის მიხედვით, ილიას

ქართული ლიტერატურის სახ. მუზეუმში). დიდი პარადოქსია, რომ თავის დროზე ეს ცნობა არ გამოუყენებია საბჭოურ სასამართლოს. მთხრობელი ალექსანდრე კოჭლავაშვილი (სხვათა შორის, შემდგომში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გახდა) გადმოგვცემს გ. ბერბიჭაშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი დაკითხვის ამბავს: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობამდე, რამოდენიმე დღით ადრე დიმიტრი ჯაშს თავისთან დაუბარებია გიორგი ბერბიჭაშვილი, უკანასკნელი მისულა ჯაშთან და საუბარში კარგად (!) შემოღამებიათ. ჯაშს ვახშამი მოუწყო და შემდეგ უთქვამს: ახლა უკვე გვიან არის და სადღა მიდიხარ, აქვე დაიძინეო. მართლაც გიგანტური ბერბიჭაშვილი იმ დღეს იქ დარჩენილა, ხოლო მეორე დღეს მეორე ნახევრამდე ხან ბაღში, ხან სად გაყოლია ჯაშმა და შემდეგ ჯაშს, შებინდების წინ უთქვამს: მცხეთაში მივდივარ და გა მოწყვიტე, ისიც წაყოლია. მცხეთაში ბერბიჭაშვილი ერთადგოლას გაუჩერებია და სადღაც წასულა: დაახლოებით ორი საათის შემდეგ დაბრუნებულა და გიორგისთვის უთქვამს: - წავიდეო, შენც გეძახიანო. გიორგი უსიტყვოდ გაყოლია ჯაშს და მცხეთის პოლიციის უფროსის ოთახში ერთად შესულან. უფროსს ისინი კარგად მიუღია და შემდეგ გიორგისთვის უთქვამს: - რასაც ეს (ჯაშმა - ბ. მ.) გეტყვის შეასრულე და შემდეგ კიდევ მოგელაპარაკებოთო. მე ხმა არ ამომიღია, თავი დაუკარი და ორივენი გამოვბრუნდით. გზაში ვკითხე ჯაშს: რა უნდა გაგაკეთოთ მეთქი? ჯაშმა მიპასუხა გეტყვიო. მართლაც რამოდენიმე დღის შემდეგ კვლავ დამიძახა, ილიას სახლის ზევით ავედით და იქ სხვებიც იყვნენ - ინაშვილი, ლაბაური, ფშავლიშვილი





ეროვნული
მუზეუმი

© გზა ჟურნალიზმისკენ

დროზე ნახმარი ფარიცა...

იმეუ 12 სექტემბერი - პრის სულიერი მამის
მკვლელობის დღე ქართველი ხალხის ეროვნული მონანიების,
განუგებების, შიშის, განსჯის, სინანულის დღედ გამოაცხადოთ?

დღეს ჩვენს წინაშე მთელი აქტუალობით დგას დამოუკიდებელი, სამართლიანი და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის საკითხი. თავის მხრივ, ერის თვითგამორკვევის პროცესი უფრო რთული, რადიკალური და ყოვლისმომცველია, ვიდრე თვით ქვეყნის დამოუკიდებლობა. ხალხი, რომელიც ვერ პოულობს

თავისი რაობისა და მეობის განსაზღვრის ასეთ თანამედროვე, ცივილიზაციაში ჩართვის საშუალებებსა და მექანიზმებს, ისე, ან ითქვამს უკვალოდ. ქვეყნის, ერის ბედი ბევრ ფაქტორზე დამოუკიდებელი და განპირობებულია მრავალი მიზეზით, მაგრამ მთავარი მაინც სუბიექტია.

აფრიკის კონტინენტის ბევრ ქვეყანას უკეთესი პირობები აქვს, ვიდრე ისრაელს, მაგრამ მათი განვითარების ტემპს ერთმანეთს ვერ შევადარებთ. გერმანიისა და იაპონიის წარმატებების შესახებ ყველასთვის კარგად ცნობილია. მათ თავიანთი მწარე გამოცდილებიდან რაღაც დასკვნები გააკეთეს და ახალი შეიძინეს. ასევე, ნებისმიერი კონკრეტული პიროვნებისა თუ ხალხის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა წარსულის გაკვეთილებიდან სწორი დასკვნების გამოტანა, რადგან ძალიან ხშირად ისტორია მეორდება ადრინდელი შეცდომების გაუთვალისწინებლად.

აუცილებლად საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა, სიყვარული და უბრალოდ სინდისის ქენჯნა იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც შენი სამშობლო ჰქვია. საფრანგეთში პატრიოტიზმი ეროვნული რელიგიის სტატუსშია აყვანილი. ამერიკაში - ეს არის ფანატიზმად მისული პატრიოტიზმი.

კულტურა ნიშნავს დაცვას, მოვლას, პატრონობას და ზრუნვას. ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ქართველი, რომელიც თავდაპირველად საკუთარი სოფლისა თუ კუთხის შვილია და მხოლოდ შემდეგ არის ქართველი. მომავალი თაობა მოგვკითხავს პასუხს დღევანდელ უმოქმედებაზე. ბოროტება უმოქმედება და ბოროტების მიმართ წაყრუება. ვინ იკისრა პასუხისმგებლობა გასული საუკუნის ბოლოს დატრიალებულ ტრაგედიაზე? თვითორიტიკა, სახარებისეული დიროს დანახვას რომ გულისხმობს საკუთარ თვალში, კვლავ მიუღებელია ჩვენთვის.

ყველას გვგონია, რომ საშინელი სამსჯავრო ჩვენ არ გვყავს. ასე ეგონათ რომაელებსაც,

ამიტომაც უნოდებდნენ მარადიულს საკუთარ ქალაქს. ასეთივე რწმენით იყვნენ განმსჭვალული კონსტანტინეპოლის მცხოვრებნი, რომ ღმერთი არ გასწორავდა მათ და დაიცავდა თურქთა შემოსევისგან, მაგრამ ამაოდ. ბიზანტიის მწარე გამოცდილება არ გახდა გაკვეთილი ჩვენთვის. დღეს ჩვენ არ გვაქვს კრიზისული სიტუაციის შეცნობის უნარი. კრიზისის დროს საჭიროა დროული ქმედებანი, რადგან არსებობს კრიზისული ზღვარი, რომლის შემდეგაც იწყება ზეგავსებული შეუქცევადი პროცესები და რომელთა შეჩერება არავითარ ძალას არ შეუძლია. ყველამ უნდა ვიზრუნოთ უბედურების თავიდან ასაცილებლად და საკუთარი მომავლის უზრუნველსაყოფად. ამისთვის სხვას კი არ უნდა ვადანაშაულებდეთ, არამედ საკუთარ თავს უნდა მოვთხოვოთ პასუხი. ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა ყოველივე იმის მიმართ, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება.

მონანიება და მოწოდება ახალი ცხოვრებისაკენ არაფერს მოგვცემს, თუ არ შევიცვლებით. იმისთვის, რომ ადამიანთა ცხოვრება უკეთესი გახდეს, საჭიროა, ადამიანები გახდნენ უკეთესები, - ასეთია ბრძენთა რწევა. სიბრძნე კი ამქვეყნიური ბედნიერების საწინდარია. ჭეშმარიტი მონანიების შემდეგ სული მშვიდდება და მასში ხდება ახალი ძალების გამოთავისუფლება და აღორძინება (მონანიება).

კათარზისი - სიტყვასიტყვით განწმენდა, ცვლილებას ნიშნავს. კათარზისის დადგომისას კრიზისი თავისთავად ქრება. ბრძოლა-დაცემა-კრიზისი-კათარზისი-წინსვლა - ამ საფეხურების გავლის შემდეგ იქნა დაბლული ყველა კრიზისი კაცობრიობის ისტორიაში. თვით ანტიკურ ეპოქაში ბერძენმა კატასტროფით გამოწვეული უკანდახევის მიუხედავად, შეძლეს თავიანთი ეროვნული პოტენციის მაქსიმალური გა-

მოვლენა, რაშიც გადამწყვეტი როლი მათში კრიტიკული თვითშეგნების განვითარებამ შეასრულა. ყველა სიცოცხლის უნარიანი ერი გადის ამ გზას. ნიპოლიზმი და ნაციზმისგან გათავისუფლებამ და კრიტიკულმა თვალთახედვამ უჩვენა მათ სწორი გზა პროგრესისაკენ.

ჩვენი წინადადებით, წელიწადში ერთხელ, 12 სექტემბერს, ილიას მკვლელობის დღეს, კარგი იქნება, დანესდეს ქართველი ხალხის ეროვნული მონანიების, განწმენდის, ფიქრის, განსჯის, სინანულის დღე.

ერის თავზე მრავალი უბედურება დატრიალებულა, მაგრამ ილიას მკვლელობას მაინც სხვა ტკივილი და სხვა ცოდვა ახლავს. „ამით სამუდამოდ დაგისვით შუბლზედ მთელმა ქართველმა ერმა იუდობის ბეჭედი და დავეწყველეთ ჩვენივე თავი უკუნითი უკუნისამდე“ (ა. წერეთელი). ეროვნული სხეულის ამ მოუშუშებელ ჭრილობას განვლილი ასი წლის განმავლობაში კიდევ ბევრი წყლული და იარა დაემატა. საჭიროა, მათგან გათავისუფლება. ჩვენს ერს კოლექტიური ცოდვა აწევს. მხოლოდ განწმენდის შედეგად დგება ნათელი მომავალი და იმედი. ისტორია კი ჩვენს დროში არნახული ტემპით მიდის. დროის ლიმიტი დღითიდღე იწურება.

გვნამს, რომ დროზე ნახმარი ფარიცა იგივე ხმალი არისო. გზა ნათელი მომავლის საქართველოს მონანიებაზე გადის. დავუბრუნდეთ ჩვენს ფესვებს შინაგანად განწმენდილი და განახლებულნი, სანამ „ცა გვიცქერს სიგულწრფელითა“ (გალაკტიონი), რადგან ისტორია ჩქარობს, ისტორია ულტიმატუმს აყენებს.


მედა თაყვინთა

და ფეიქრიშვილი (როგორც დავინახეთ, უკანასკნელი მცდარად არის დასახელებული - ბ. ზ.). აქ ჯაშმა თქვა: ამ დღეებში თავადი თბილისში წავა (ეს ამბავი 27 აგვისტომდე მოხდა - ბ. ზ.) და როცა იქიდან რომ დაბრუნდება, თავიდან უნდა მოვიშოროთ. სირცხვილია, სხვაგან ბატონები მოკლეს და ჩვენ კი ხელს არ ვანძრევთ. იქიდან აღარ დავშლილვართ. ხან ჯაშს, ხან ინაშვილს ჩვენთვის საჭმელი მოჭნა და რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ილიას დაბრუნება გავიგეთ, ტყე-ტყე წავედით წინაშურისაკენ და იქ ჩაუსაფრდით“.

ასევე ერთ-ერთი ბოლო დაკითხვისას ბერბიჭაშვილს ალექსანდრე კოჭლაშვილისათვის უთქვამს: „აძაღლდეს ჯაშში და მცხეთის მილიციის უფროსი“ (ეს ალ. კოჭლაშვილს შემდეგშიც არაერთხელ განუცხადებია ვინრო წერს).

არა გვგონია, ჩვენს შორის ვინმე ისეთი ბრიყვი აღმოჩნდეს, რომ აღნიშნული რამ ოდენ მცხეთის პრისტავ წ (ბოქაულ) სტანისლავ გრიცინსკის თვითმოქმედებას მიანეროს და არაფერი იფიქროს ხელისუფლების მაღალ ინსტანციებზე! ასე რომ, სრული ბლეფია ვ. გურულის განცხადება იმაზე, რომ საბჭოური გამოძიება და სასამართლო ამაოდ დაშვრა ილიას მკვლელობის საქმეში „ოხრანიკა“-ყანდარმიის ნაკვალევს ჩვენებისას.

ვ. გურულის სტატიაში სხვა, შედარებით წვრილმანი გაუგებრობანი და შეცდომებიც ბლომადაა, რაც მის მწირ ერუდიციასა და ფანტაზიის სიუხვეზე მიგვანიშნებს. თითქოს „ილიან გამოცხადდა ფეოდალურ - მონარქიული ნაციონალიზმის მამამთავრად“.



ნალიზმის მამამთავრად“. მაგრამ ამგვარი ნაციონალიზმი ხომ ი. სტალინის აღმოჩენაა. მაშ გიგან მოდის მსგავსი იარაღი?

სტატიაში ვკითხულობთ: „საქართველოს მწერალთა კავშირის დელეგაციის მოსკოვში ჩასვლის შემდეგ მოსკოვში სტალინის მითითებით (უფრო ზუსტად, კარნახით!) მთლიანად შეიცვალა მოხსენების სტრუქტურა და შინაარსი, განსაკუთრებით კი ის ნაწილი, რომელიც ილიას შეეხებოდა“. სინამდვილეში ჯერ კიდევ ყრილობამდე, სტალინმა მიიღო მალაქია ტოროშელიძე (მომავალი მომხსენებელი), დაიწუნა პირველი ვარიანტი და მითითება მისცა, საფუძვლიანად გადაემუშავებინა იგი, კერძოდ წარმოეჩინა უწინდელი ქართული ლიტერატურა. ამის შემდეგ, მ. ტოროშელიძის თბილისში შტაბრუნებისას, შეიქმნა მწერალთა და მეცნიერთა ჯგუფი, რომელთაც ორ კვირაში მოამზადეს სრული-

ად ახალი მოხსენება“ (ი. ირაკლი აბაშიძე, გუშინ, გუშინ... თბ. 1989 გვ. 106).

პაატა გუგუშვილს ნაშრომი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ არ დაუწერია. ეს გახლავთ დოკუმენტების კრებული სათაურით „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამოძიებო მასალები“.

ვ. გურული, ჩანს, მე გულისხმობს იმ ზოგიერთ ისტორიკოსში, რომელიც თითქოს, თვლის, რომ ბერბიჭაშვილის საქმის გამოძიებითა და სასამართლო პროცესით ი. სტალინს, ფ. მახარაძისა და ს. ორჯონიკიძის თავიდან მოშორება სურდა. მაგრამ მე სხვა მოტივებსაც ვასახელებ. საინტერესოა მაინც, რას გულისხმობს ვ. გურული, როცა წერს: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ საქმის გამოძიებასა და სასამართლო პროცესს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რომელიც სცილდებოდა საქართველოს და საბჭოთა კავშირის ფარგლებს“.

თითქოს ფ. მახარაძე გადაურჩა სასჯელს 1907-09 და 1941-1942 წლებში. სინამდვილეში, უკანასკნელი ბევრჯერ იყო დაპატიმრებული მეფის ხელისუფლების მიერ, ხოლო 1919-20 წლებში მეტეხის ციხეშიც კი იჯდა. შეგახსენებთ, რომ 1908 წლიდან იგი გასახლებული იყო საქართველოდან, 1942 წელს კი იგი სასჯელს ვერ მიიღებდა იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ დროს ცოცხალი აღარ იყო. ფ. მახარაძის სიკვდილის თაობაზე ოფიციალურ ცნობას რომ თავი დავანებოთ, ვიცით, რომ მას ბერბიჭაშვილის საქმის გამოძიების დროს გული გაუსკდა. თუ ვ. გურულს დაუჯერებთ, მას იუდასავით თავი ჩამოუხრია (ამას ორჯერ იმეორებს). საიდან, რა

საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებს ამას გურული? თითქოს „იოსებ სტალინი ორგანულად ვერ იტანდა ფილიპე მახარაძესა და სერგო ორჯონიკიძეს. რა იყო ამის მიზეზი, სამივემ კარგად უწყობდა. სამივემ საიდუმლო თან წარიტანა სამარეში“. მაგრამ ამათ შორის „შავმა კატა გვიან გაიბრინა“ და ამის „საიდუმლო“ კარგად არის ცნობილი. სირცხვილია, რომ პროფესორი ამის მისტიფიცირებას ახდენს.

დაბოლოს, რა დაგვრჩენია ვთქვათ? მეცნიერება (ამ შემთხვევაში ისტორიოგრაფია) საკმაოდ სერიოზული საქმეა და დილენტიზმით, ცარიელი ფრაზებითა და ფანტაზიით აქ ფონს ვერავინ გაავს. გარდა ამისა, არსებობს სამეცნიერო ეთიკაც, რომლის მიხედვითაც მკითხველთა ფართო მასის გაბიაბრუება სამარცხინოა.

გურამ ყორანაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულო გადაწყვეტილება № 10-15

6 სექტემბერი 2007 წელი
11.09.07 წ.
190.020.020.36.101.010.815

„ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4-23 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა შეტანილ იქნეს ცვლილებები „ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4-23 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების:

ა) პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 1.
განისაზღვროს ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლები 713,000.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- I საგადასახადო შემოსავლები 399,000.0 ათასი ლარი
- II არასაგადასახადო შემოსავლები 54,840.0 ათასი ლარი
- III შემოსავლები ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან 251,600.0 ათასი ლარი
- IV საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 270.0 ათასი ლარი
- V სესხის აღება (დაფინანსება) 7,290.0 ათასი ლარი
- მ.შ შემოსავალი ხარჯების დასაფარავად მიმართული წლის დასაწყისისათვის არსებული სახსრების ნაშთიდან 6,891.2 ათასი ლარი
- საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები 398.8 ათასი ლარი

ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობები წარმოდგენილია დანართი 1-ით.

მუხლი 2.
განისაზღვროს ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 713,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის ბიუჯეტის გადასახდელები, საბიუჯეტო კლასიფიკაციების შესაბამისად, წარმოდგენილია საბიუჯეტო დანართი 2 და 3-ით.

მუხლი 3.
მიღებულ იქნეს ქ. თბილისის 2007 წლის საქალაქო ბიუჯეტის გადასახდელები 612,065 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის საქალაქო ბიუჯეტის გადასახდელები, საბიუჯეტო კლასიფიკაციების შესაბამისად, წარმოდგენილია დანართი 4 და 5-ით.

მუხლი 4.
მიღებულ იქნეს ქ. თბილისის 2007 წლის რაიონული ბიუჯეტების ხარჯები 100,935.0 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. თბილისის რაიონული ბიუჯეტების ხარჯები, საბიუჯეტო კლასიფიკაციების შესაბამისად, წარმოდგენილია დანართი 6 და 7-ით.

მუხლი 5.
მიღებულ იქნეს ქ. თბილისის ცალკეული რაიონების 2007 წლის ბიუჯეტების ხარჯები:

- ა) გლდანი-ნაძალადევის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 13,666.9 ათასი ლარის ოდენობით (დანართი 8 და დანართი 9);
- ბ) დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 6,549.5 ათასი ლარის ოდენობით (დანართი 10 და დანართი 11);
- გ) ვაკე – საბურთალოს რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 11,176.5 ათასი ლარის ოდენობით (დანართი 12 და დანართი 13);
- დ) ისანი – სამგორის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 15,919.8 ათასი ლარის ოდენობით (დანართი 14 და დანართი 15);
- ე) ძეგლი თბილისის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 51,241.2 ათასი ლარის ოდენობით (დანართი 16 და დანართი 17);
- ზ) დიდგორის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 2,381.1 ათასი ლარის ოდენობით (დანართი 18 და დანართი 19);

ბ) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 13
2007 წლის 1 სექტემბრამდე გაგრძელდეს ქ. თბილისში მცხოვრები პენსიონერებისათვის პენსიის დანამატის გაცემა:

- 0-5 წლამდე სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის - 2 ლარი;
- 5-15 წლამდე სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის - 4 ლარი;
- 15-25 წლამდე სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის - 7 ლარი;
- 25-ზე მეტი ან ტოლი სტაჟის მქონე პენსიონერებისათვის - 10 ლარი.“

გ) გადაწყვეტილებას დაემატოს მუხლი 7¹ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „მუხლი 7¹
ქ. თბილისის მთავრობამ:
ა) ბიუჯეტით გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტზე გადასაცემი ტრანსფერი (კოდი 22 00) 107,000.0 ათასი ლარი გადარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.
- ბ) საპატრულო პოლიციისათვის (კოდი 21 00) გათვალისწინებული 1,000.0 ათასი ლარი გადარიცხოს საპატრულო პოლიციის ანგარიშზე.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზაზა ბეგაშვილი**

დანართი 1
ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის
10-50 გადაწყვეტილების

ქ. თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

შემოსავლის კოდი	შემოსულობების დასახელება	2007 წლის გეზა
01 00 00 00	I საგადასახადო შემოსავლები	399 000,0
01 01 00 00	საშემოსავლო გადასახადი	344 000,0
	ადგილობრივი გადასახადები	55 000,0
01 07 00 00	ქონების გადასახადი მათ შორის:	55 000,0
01 07 03 00	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	2 300,0
01 07 01 00	საწარმოთა ქონების გადასახადი	40 000,0
01 07 05 00	მიწის გადასახადი	12 700,0
02 00 00 00	II არასაგადასახადო შემოსავლები	54 840,0
02 01 00 00	მოსაკრებლები მათ შორის:	36 890,0
02 01 15 00	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	22 000,0
02 01 14 00	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით ხარგებლობისათვის	200,0
02 01 07 00	სახელმწიფო ბაჟი	800,0
02 01 09 00	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	10,0
02 01 12 00	სამხედრო საგადასახადო სამსახურის გადასახადების მოსაკრებელი	75,0
02 01 03 13	მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე	500,0
02 01 03 16	მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამეზაგრო გადასახადის ნებართვისათვის	955,0
02 01 10 00	ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი	550,0
02 01 90 00	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი (მ.შ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის)	12 000,0
02 02 00 00	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართვაში გადაცემიდან (იჯარაიდან) მიღებული შემოსავალი, მათ შორის:	2 800,0
	სახელმწიფო ქონების, მათ შორის სახელმწიფო მიწის და მასთან მფლობელობაში არსებული სახელმწიფო ქონების გადაცემიდან განლაგებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე	800,0
	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაში (საკუთრებაში) არსებული სახელმწიფო ქონების და მიწის გადაცემიდან	2 300,0
02 03 00 00	შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	50,0
02 05 01 00	შემოსავალი დივეიდენდიდან მიღებული ადგილობრივი ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან	600,0
02 08 00 00	შემოსავალი ჯარიმებიდან და საურაგებიდან მათ შორის:	7 500,0
